



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანგარიში

I კვარტალი

თბილისი

2018

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი	-3
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	- 12
მედიაწარმოების ბლოკი	- 31
წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი	- 38
იურიდიული სამსახურის ანგარიში	- 41
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	- 50
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” არქივი	- 51
ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი	- 56

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის წინაშე დასმული ამოცანების და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს** იმპლემენტაცია, საინფორმაციო სამსახურის ინტეგრირებული ნიუსრუმის ახალ სივრცეში გადასვლა, ახალი ტელეგადაცემებისა და ვებ-პროექტების დაწყება.

ახალი ნიუსრუმი - საანგარიშო პერიოდში ტექნიკური სამუშაოები **ახალ ნიუსრუმში** დასრულდა და საინფორმაციო სამსახური ერთიან სივრცეში გადავიდა. ამით ნაწილობრივ შესრულდა **ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა.

მთლიანად განახლდა და აღიჭურვა **რადიო პირველი არხის** პირდაპირი ეთერის სტუდია, სადაც ახალი ამბებისთვის ცალკე სივრცე შეიქმნა და აღიჭურვა.

მობილური აპლიკაცია - საიტზე განთავსებული ახალი ამბების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, ამუშავდა **პირველი არხის** საინფორმაციო მობილური აპლიკაცია.

ახალი ტელეგადაცემები - ყოველკვირეული ანალიტიკური პროგრამები. კვირის შემაჯამებელი ტელეჟურნალი **ახალი კვირა** ეთერში მარტში გავიდა. პროგრამა ითვალისწინებს კვირის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ღრმა მიმოხილვას. ამავე დროს, ტელეჟურნალი ორიენტირებულია არამეინსტრიმულ თემებსა და ექსკლუზიურ რეპორტაჟებზე.

მარტში ასევე დაიწყო პროექტი **42° პარალელი**. გადაცემის მიზანია ტელემყურებელს დაანახოს საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები სხვადასხვა პერსპექტივითა და განსხვავებული ფორმებით.

დაიწყო ია ანთაძის მულტიმედიური პროექტი **საინტერესო ადამიანები**. საუბარია ტექსტურ ინტერვიუზე, რომელიც ვებზე ფოტო და აუდიომასალის თანხლებით ყოველკვირეულად ქვეყნდება.

პროგრამების **მოამბე 21:00 საათზე, ახალი კვირა, 42° პარალელი, აქტუალური თემა მკაცრი ცინცაძესთან ერთად** და **კვირის ინტერვიუ** ფორმატი ორიენტირებულია სოციალური პრობლემების, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების, რიგითი მოქალაქის პრობლემების და სხვა არამეინსტრიმული საკითხების ღრმა და მრავალმხრივ გაშუქებაზე. საკითხების სიღრმისეულ განხილვაზე ასევე ორიენტირებულია ინტერნეტ-პროექტები **ანალიტიკური ჟურნალი** და **საინტერესო ადამიანები**. არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება **რადიო პირველი არხის** ისეთ ინტერაქტიულ გადაცემებში, როგორებიცაა- **უფლება და თავისუფლება, ჩვენი საქართველო, ეკომეტრი, ღია სტუდია** და სხვ.

ეს პროექტები ასახავს თემებისა და შეხედულებების მრავალფეროვნებას და წარმოადგენს კარგ პლატფორმას საზოგადოებრივი დისკუსიებისათვის.

თებერვალში გაიმართა ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომლის ექსკლუზიური პარტნიორიც იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

- პირველი არხი**
- აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად** - 44 გადაცემა
- კვირის ინტერვიუ** - 10 გადაცემა
- ახალი კვირა** - 5 გადაცემა
- 42° პარალელი** - 5 გადაცემა
- რადიო პირველი არხი**
- ღია სტუდია** - 62 გადაცემა
- სალამოს პიკის საათი** - 58 გადაცემა
- ესტაფეტა** - 61 გადაცემა
- ჩვენი საქართველო** - 8 გადაცემა
- უფლება და თავისუფლება** - 11 გადაცემა
- ეკომეტრი** - 13 გადაცემა

2. სიახლეები

2.1. ინტეგრირებული ნიუსრუმი

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, **ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს** ძირითადი ნაწილის იმპლემენტაცია დაასრულა. მიღწეულია შემდეგი ძირითადი მიზნები:

- სრულფასოვნად ამუშავდა ახალი სტრუქტურა;
- დაინერგა ახალი სარედაქციო სტრატეგია და ინტეგრირებული სარედაქციო პროცესები;
- კონტენტი სამივე პლატფორმაზე (ინტერნეტი, რადიო, ტელევიზია) იგეგმება, იწარმოება და ნაწილდება ახალი სტრატეგიის მიხედვით.

სახელმძღვანელოს სრული იმპლემენტაციის გზაზე დარჩა ორი მნიშვნელოვანი ეტაპი - ახალი ამბების ინტერფეისის სისტემების დანერგვა და ახალი შენობის აგება, სადაც ერთიანი ნიუსრუმის სივრცე იქნება გათვალისწინებული.

ახალი ამბების **ინტერფეისის სისტემების** დახმარებით მასალა ერთ სივრცეში იგეგმება, იქმნება, ზიარდება, ეთერში გადის და არქივდება. ყველაფერი თავმოყრილია ერთ ადგილას და ხელმისაწვდომია ყველა პლატფორმისთვის, რაც ქმნის ეფექტური მუშაობის შესაძლებლობას.

ახალი სისტემებზე გადასვლამდე, საწყის ეტაპზე, დაინერგა რამდენიმე მარტივი ინტერფეისი. რაც პირველ რიგში ერთიან სივრცეში დაგეგმვის, გაზიარების, ტექსტზე მუშაობისა და რედაქტირების საშუალებას იძლევა.

ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს მიხედვით ახალი სივრცის მშენებლობა წარმოადგენს აუცილებელ ელემენტს, რადგან სრულად ინტეგრირებული ნიუსრუმი გულისხმობს 2 აუცილებელ ელემენტს:

- ერთიან და „კედლებგარეშე“ სივრცეს, რაც თანამშრომლებს შორის სწრაფ და უშუალო კავშირს უზრუნველყოფს, როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური იერარქიის მიმართულებით;
- თანამშრომლები ნაწილდებიან გარკვეული პრინციპით, რაც ერთგვარ საწარმოო კონვერის პრინციპის დამკვიდრებას წარმოადგენს. დავალებების გაცემის და ინფორმაციის გავრცელების „ნაკადი“ პირდაპირ არის გადატანილი სამუშაო სივრცის დაგეგმარებაში, რაც თანამშრომელთა „საქმის წარმოების ნაკადის“ და ფუნქციური პრინციპით განთავსებას გულისხმობს. ამ პრინციპითაა დაგეგმილი ყველა ინტეგრირებული ნიუსრუმი და ეს აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

ყველა მედიაკომპანიამ ახალ მოდელზე გადასასვლელად ყველაზე მსხვილი ინვესტიცია, სწორედ ახალი ერთიანი სამუშაო სივრცის მოწყობა/მშენებლობაში ჩადო.

სრულფასოვნად სახელმძღვანელოს მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, რაც მაუწყებლის ახალი შენობა აშენდება. მანამდე კი, საანგარიშო პერიოდში არსებულ შენობაში დასრულდა ახალი ნიუსრუმის ერთიანი სივრცის შექმნა, რამაც შესაძლებელი გახადა ინტეგრირებული სარედაქციო პროცესების მართვა.



2.2. რადიო პირველი არხის განახლებული სტუდია

საანგარიშო პერიოდში მთლიანად განახლდა და აღიჭურვა რადიო პირველი არხის პირდაპირი ეთერის სტუდია. საინფორმაციო სამსახურისთვის ეს მოვლენა მნიშვნელოვანი იყო რადგან ახალი ამბების გამოშვებებისთვის ცალკე სივრცე მოეწყო და აღიჭურვა, რამაც ეთერში საინფორმაციო გამოშვებების ყოველ ნახევარ საათში მაუწყებლობის შესაძლებლობა მოგვცა.




2.3. ახალი ამბების აპლიკაცია

ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელოს მიხედვით ახალი მულტიმედია საინფორმაციო ბრენდის ჟურნალისტური ამბიციის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ამ მხრივ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მობილური აპლიკაციები. საანგარიშო პერიოდში დასრულდა ტესტირება და სრულფასოვნად ამოქმედდა ახალი ამბების მობილური აპლიკაცია Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის.

აპლიკაცია ახალი ამბების გაცნობის და სატელევიზიო არხების პირდაპირი ეთერის ნახვის საშუალებას იძლევა. აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება და თემატიკის მიხედვით დალაგება. აპლიკაცია შვიდენოვანია.

გათვალისწინებული ინტერაქტიული კავშირი მომხმარებელთან.



2.4. ახალი კვირა



საანგარიშო პერიოდში *პირველმა არხმა* დაიწყო კვირის შემაჯამებელი ტელეჟურნალი *ახალი კვირა*, რომელიც ეთერში მარტში გავიდა. პროგრამა ეთერშია ყოველ კვირა დღეს 21:00-ზე.

კვირის ბოლოს, გადაცემა აჯამებს მიმდინარე აქტუალურ თემებს, ანალიზებს საგარეო და

შიდაპოლიტიკურ პროცესებს, დედაქალაქსა და რეგიონებში არსებულ სოციალურ პრობლემებს, ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ ვითარებას და ამზადებს საგამომიებო რეპორტაჟებს.

პროგრამა ამზადებს რეპორტაჟებს შემეცნებით და კულტურულ თემებზე, კონკრეტული ადამიანების მიღწევებისა და საქმიანობის, ეთნიკური ჯგუფებისა და მათი ტრადიციების, უცხო ქვეყნების კულტურული ცხოვრების შესახებ.

სტუდიური გადაცემა კვირის განმავლობაში მომზადებულ რეპორტაჟებს მოიცავს. გადაცემა ითვალისწინებს სტუმრების ჩართულობას, კონკრეტულ თემაზე მომუშავე რეპორტიორის სტუდიაში ინტეგრაციას (თემის მომზადების მსვლელობისა და დამატებითი ფაქტების წარსადგენად), ასევე, რეპორტიორების ჩართვას.

2.5. 42° პარალელი

მარტში *პირველმა არხმა* ასევე დაიწყო პროექტი *42° პარალელი*. ახალი ამბების ანალიტიკური ჯგუფის მიერ მომზადებული გადაცემის მიზანია ტელემეყურებელს დაანახოს საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენები სხვადასხვა პერსპექტივითა და განსხვავებული ფორმებით.




პროგრამა ეთერში გადის ყოველს შაბათს 21:30-ზე.

42° პარალელი წარმოგვიდგენს იმ საერთაშორისო მოვლენების ანალიზს, რომლებიც გლობალურ თუ რეგიონულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ტენდენციებს ქმნის. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა კავკასიაში მიმდინარე პროცესებს, ასევე, მოვლენებს, რომლებიც ამ პროცესებზე გავლენას ახდენს.

42° პარალელი ინტერესდება საერთაშორისო აქტორების ქცევით, მათზე მოქმედი გარე და შიდა ფაქტორებით, სავარაუდო შედეგებითა და მოვლენების ისტორიული რაკურსით.

2.6. საინტერესო ადამიანები



რუსუდან გოცირიძე

საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსი

Like 155 Share Tweet YouTube 2122



ინტერესი შესახებ

ჩემი პირველი სტუმრისთვის სამი კრიტერიუმი შევარჩიე: ეს უნდა ყოფილიყო ადამიანი, რომელსაც ფართო საზოგადოება იცნობს; რომელიც საკმარისად გახსნილია სიღრმისეული საუბრისთვის და რომელიც, თავისი განსაკუთრებული ღვაწლიდან გამომდინარე, არ გააჩენდა კითხვას „რაღომ მაინცდამაინც ის?“

- ქალბატონო რუსუდან, რისკი თუ გიყვართ?

- არა, რისკი არ მიყვარს.

- ფიქრობთ თუ არა, რომ სამყარო იყოფა ორ ნაწილად: ადამიანებად, რომლებსაც რისკი უყვართ, ან არ უყვართ.

- არიან ადამიანები, რომლებმაც ზუსტად იციან, რომ რისკი უყვართ, ან არ უყვართ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც აღმოაჩენენ, რომ თურმე, შეძლებიან გარისკვა ან, თურმე, ვერ ბედავენ რისკის გაწევას.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო ია ანთაძის მულტიმედიური პროექტი **საინტერესო ადამიანები**.


საუბარია ტექსტურ ინტერვიუზე, რომელიც ვებზე ფოტო და აუდიომასალის თანხლებით ყოველკვირეულად ქვეყნდება. ახალ პროექტში წაიკითხავთ ინტერვიუებს საინტერესო ადამიანებთან, რომლებსაც ყოველ სამშაბათს წარმოგიდგენთ ფართო კონტექსტში: არა მხოლოდ მათი პროფესიული საქმიანობა, არამედ, მათი მსოფლხედვა, გამოცდილება, ხასიათი და რთულ კითხვებზე საინტერესო პასუხების გაცემის უნარი.

2.7. მრავალენოვანი საქართველო

მაუწყებელმა გააგრძელა მუშაობა იმ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე, რომელიც შემუშავდა ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

მაუწყებელმა განაგრძო პროექტის **მრავალენოვანი საქართველო** გაფართოება. წინა საანგარიშო პერიოდში **პირველი არხის** ახალი შვიდენოვანი ვებ-გვერდი ამუშავდა. ამ კვარტალში კი ამოქმედდა ახალი ამბების შვიდენოვანი აპლიკაცია.

საანგარიშო პერიოდში „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში, აზერბაიჯანული და სომხურენოვანი ონლაინ რადიო-ტელევიზიის ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. პროექტი ითვალისწინებს ვებ-პორტალზე 1tv.ge, ასევე ფეისბუქზე, 12-საათიან უწყვეტ პირდაპირი ეთერით მაუწყებლობას.



პირველი კვარტლის განმავლობაში შეირჩა ახალი კადრები და მათ ჩაუტარდათ ტრენინგი. დაიგეგმა პროექტის მარკეტინგული მხარე. ჩატარდა საპროექტო სამუშაოები. დაიწყო სტუდიების მშენებლობა (პირველი კორპუსის პირველ სართულზე) და ტექნიკური აღჭურვა.

შეგახსენებთ, რომ პროექტის *მრავალენოვანი საქართველო* მიზანია საქართველოს ეთნიკური



უმცირესობების ინფორმირება, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა.

პროექტი უზრუნველყოფს საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის ინტეგრირებას პირველი არხის ქართულენოვან გადაცემებში.

პროექტის ფარგლებში სხვადასხვა ენებზე მზადდება დოკუმენტური მასალები საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საზოგადოებრივი მაუწყებლის

მედიაპროდუქცია ითარგმნება ეთნიკური უმცირესობების ენებზე. საინფორმაციო გამოშვება *მომხმე* მზადდება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.

2.8. ზამთრის ოლიმპიური თამაშები

საანგარიშო პერიოდში პიონჩანგში გაიმართა ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომლის ექსკლუზიური პარტნიორიც იყო საზოგადოებრივი მაუწყებელი. მაყურებელს ოლიმპიადის რეპორტაჟების ხილვა შეეძლოთ ორივე სატელევიზიო არხზე, ასევე ინტერნეტ ბმულებზე (მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე). ოლიმპიური თამაშების მიმოხილვას ყოველდღიურად რამდენიმე გადაცემა ეძღვნებოდა.

ინტერნეტბმულებზე ასევე შესაძლებელი იყო მულტიმედიური მასალების ნახვა. სამხრეთ კორეაში გაგზავნილი იყო ჯგუფი, რომელიც მასალებს ამზადებდა, როგორც ტელეპროგრამებისთვის, ასევე რადიოსა და ინტერნეტისთვის.

3. გაშუქებული ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემები

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის წინაშე დასმული პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიახლე იყო ორი ახალი ტელეპროგრამის *ახალი კვირა* და *42° პარალელი* დამატება.

ახალი პროგრამები, ისევე როგორც წინა კვარტალში დაწყებული პროექტები *მოამბე 21:00 საათზე*, *აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად* და *კვირის ინტერვიუ*, გამოკვეთილად ორიენტირებულია ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების ღრმა გაშუქებაზე.

არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება *რადიო პირველი არხის* ისეთ გადაცემებში, როგორებიცაა *უფლება და თავისუფლება*, *ჩვენი საქართველო*, *კომეტრი*, *ღია სტუდია*, *სადამოს პიკის საათი* და სხვ.

ამავე მიმართულებით მუშაობს ორი ინტერნეტ პროექტი *საინტერესო ადამიანები* და *ანალიტიკური ჟურნალი*.

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის მიერ გაშუქებული ექსკლუზიური, საგამომიებო და არამეინსტრიმული თემების ნაწილის ჩამონათვალი იხილეთ დანართის სახით.

4. დამოუკიდებელი პროგრამები და მათი მწარმოებლები

ნამდვილი დრო (Настоящее Время) - *პირველი არხის* ეთერში ორშაბათი – პარასკევი, 07:30-08:00. ახალი ამბების რუსულენოვანი სატელევიზიო გადაცემა წარმოადგენს „რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებისა“ და „ამერიკის ხმის“ ერთობლივ პროექტს, რომელიც ხორციელდება საქართველოში, ესტონეთში, ლატვიაში, ლიტვაში, მოლდავეთსა და უკრაინაში მოქმედ საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებთან თანამშრომლობით.

ვაშინგტონი დღეს - ამერიკის ხმის ქართული რედაქციის მიერ მომზადებული ტელეპროგრამა გადის *პირველ არხზე* ყოველ კვირა დღეს, 14:30-15:00 საათზე. ყოველკვირეული ანალიტიკური ტელეპროგრამაში მოისმენთ ამერიკელი და ქართველი ექსპერტების ანალიზს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ და გაეცნობით ამერიკაში მცხოვრები ცნობილი ქართველების ისტორიებს.

ამერიკის ხმა - *რადიო პირველი არხის* ეთერში ყოველ დღე, 20:05-ზე ამერიკის ხმის ქართული რედაქციის მიერ მომზადებული 15-წუთიანი საონფორმაციო გამოშვებებში მოისმენთ ამერიკასა და საქართველოში მიმდინარე ამბებს, ექსპერტულ შეფასებებს და ინტერვიუებს.

ჯაზ ამერიკა - „ამერიკის ხმის“ ყოველკვირეული პროგრამა ჯაზზე. რას დევსის საავტორო გადაცემა ჯაზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯაზ ამერიკა“ ინგლისურენოვანია რის გამოც ის **რადიო პირველი არხის** ეთერში გვიან ღამით გადაიცემა.

5. პრობლემები

სერიოზულ პრობლემად რჩება რეგიონებში სრულფასოვანი ბიუროების ჩამოყალიბება და მათი აღჭურვა.

ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად კვლავ პრობლემურია რადიოსიგნალის გავრცელების არეალი და ხარისხი.

6. სამომავლო გეგმები

ახალი ტელეგადაცემები - მზადდება ორი სადისკუსიო პროგრამა, რომლებიც მიეძღვნება მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ზოგად ღირებულებით საკითხებს.

მულტიმედიური პროექტი - მზადდება ანალიტიკური პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია რადიო და ინტერნეტ აუდიტორიაზე. მასზე ახალი ამბების ანალიტიკური ჯგუფი იმუშავებს.

გამომძიებელი რეპორტიორი - მომავალ კვარტალში ვებ-პორტალზე დაიდო ჟურნალისტური გამოძიება, რომელიც თბილისის ყვითელ მიკროავტობუსებში შექმნილი მძიმე პირობების მიზეზების დადგენას ისახავს მიზნად. გაგრძელდება მუშაობა აზიური ფაროსანის წინააღმდეგ მოქმედი პესტიციდების კვლევაზე - თუ რამდენად მავნებელია საქართველოში შემოტანილი ბიფეტრინის შემცველი პრეპარატები.

განახლებული რადიო პროგრამები - მომავალ საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა დაიწყო რადიოპროგრამინგში ცვლილებების შეტანა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან სიახლეს ახალი ამბების ყოველ ნახევარ საათში მაუწყებლობა წარმოადგენს.

შემდეგ საანგარიშო პერიოდში გაგრძელდება მუშაობა ბათუმის სტუდიის მშენებლობასა და აღჭურვაზე. ასევე გაგრძელდება ახალი ამბების სამსახურის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა.

მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

შესავალი

2018 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში, მედიისა და კომუნიკაციის ბლოკმა იმუშავა არაერთ მნიშვნელოვან პროექტზე. მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ზამთრის ოლიმპიადა და ახალი ეთერის პრომოუშენი. ასევე, გაგრძელდა კომპანიის ბრენდინგის განახლება და შემუშავდა ერთიანი მარკეტინგული სტრატეგია. გაგრძელდა მთავარი შენობის ინტერიერის განახლება-ბრენდინგი, ახალი სახელის და ბრენდინგის და მოთხოვნების გათვალისწინებით შემუშავდა რადიოს პირდაპირი ეთერის სტუდიის ახალი დიზაინი და ახალი პროექტის „მრავალფეროვანი საქართველო“ საეთერო სტუდიების დიზაინი.

წარმოგიდგენთ მოკლე მიმოხილვას ბლოკის მიერ განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოს შესახებ:

განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

ცვლილებები ბადეში

2018 წლის პირველ კვარტალში, პირველი არხის საეთერო ბადეში განთავსდა შემდეგი გადაცემები:

- „რეალური სივრცე“-პარასკევი 19:00

გადაცემა ეთერში შევიდა 26.01.2018

- “წიგნების თარო“-შაბათი, კვირა 20:00

გადაცემა ეთერში შევიდა 03.03 .2018

- “მარტივი ლოგიკა“ორშაბათი, სამშაბათი 20:00

გადაცემა ეთერში შევიდა 26.02 .2018

- „ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?!“

ოთხშაბათი, ხუთშაბათი 20:00

გადაცემა ეთერში შევიდა 28.02 .2018

- „რანინა“პარასკევი 20:00

გადაცემა ეთერში შევიდა 02.03.2018

- „ახალი კვირა“ კვირა 21:00

გადაცემა ეთერში შევიდა 04.03.2018

- „42-ე პარალელი“ შაბათი 21:30

გადაცემა ეთერში შევიდა 03.03.2018

- “ხანმოკლე XX საუკუნე“ ხუთშაბათი 23:30

გადაცემა ეთერში შევიდა 01.03 .2018

- “გურმანია შაბათი 19:00

გადაცემა ეთერში შევიდა 03.03 .2018

- „აკუსტიკა“ შაბათი 23:45

გადაცემა ეთერში შევიდა 03:03 .2018

- “ეროვნული ლიგის მიმოხილვა“ სამშაბათი-23:30

გადაცემა ეთერში შევიდა 13.03 .2018 წელს

9-25 თებერვალი -ამ მონაკვეთში ჩატარდა ზამთრის ოლიმპიური თამაშები, რომელიც გადაიცემოდა, როგორც პირველ, ისე მეორე არხზე. ოლიმპიადასთან დაკავშირებით შეიქმნა სპეციალური სპორტული გადაცემა, რომელიც დღის მანძილზე რამდენჯერმე გადიოდა ეთერში.

მარკეტინგის სამსახური

პირველი კვარტალის განმავლობაში, მარკეტინგის სამსახურმა დაგეგმა და განხორციელა რიგი მნიშვნელოვანი აქტივობები. ამ სამსახურის მუშაობა ძირითადად ორიენტირებული იყო თებერვლის თვეში მიმდინარე ზამთრის ოლიმპიადისა და იანვარ-თებერვლის თვეში დაგეგმილი ახალი გადაცემების შეფუთვისა და პრომოუშენზე, მათ ეფექტიან ჩაშვებასა და მონიტორინგზე. ასევე, მარკეტინგის სამსახურის ორგანიზებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გამოეხმაურა სხვადასხვა საერთაშორისო და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან თარიღებს.

I კვარტლის განმავლობაში, მარკეტინგის სამსახურის ორგანიზებით დაიგეგმა და განხორციელდა:


- 8 თებერვალი - უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე
- 13 თებერვალი რადიოს მსოფლიო დღე
- 9-25 თებერვალი - ზამთრის ოლიმპიადა - პრე-კამპანია, ბრენდირება, შეფუთვა ყველა პლატფორმისთვის.
- ახალი სეზონი 26 თებერვლიდან - გადაცემების პრე კამპანიის დაგეგმვა, ბრენდირება, შეფუთვა და პრომოუშენი ყველა პლატფორმაზე. სასაჩუქრე ატრიბუტიკის შემუშავება.
- 21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე
- წინასწარ შემუშავებული კალენდრის მიხედვით მომზადდა ტელე და აუდიო-ტიხრები გამორჩეულ თარიღებთან დაკავშირებით.
- მონაწილეობა რადიოს ახალი საეთერო ბადის ფორმირებაში .
- მონაწილეობს რადიო პირველი არხის ახალი საეთერო ბადის მიხედვით ახალი გადაცემების შერჩევასა და პრომოუშენის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი


- ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. მონიტორინგი ხორციელდება “people meters”-ების საშუალებით. პროგრამა „infosyc”.
- ყოველდღიურად, თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, მზადდება სარეიტინგო მასალა. ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად ანალიზდება სატელევიზიო აუდიტორიის ქცევა, გადაცემების აუდიტორიის განაწილება დროითი სეგმენტების და მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით, ანალიზდება კონკურენტული გარემო, მიმდინარეობს კონსულტაციები. მიღებული მონაცემები ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას და გადაცემების პროდიუსერებს.
- კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფი აქტიურადაა ჩართული 2018 წლის სეზონის მექანიკური პროდუქციის (მხ.ფილმები, მხ.სერიალები, დოკ.სერიალები) შერჩევის პროცესში. პროცესი გულისხმობს: მსოფლიოს მსხვილი მწარმოებლების მიერ შემოთავაზებული პროდუქციის შესწავლას, განხილვას/ შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას.
- იანვარში დაიგეგმა და განხორციელდა გადაცემის “პირადი ექიმი - მარი მალაზონია” თვისობრივი კვლევა ფოკუს-ჯგუფების მეთოდით. კვლევა ჩაატარა “ACT” ჯგუფმა, პირველი არხის ანალიტიკის ჯგუფის დაკვეთით. მიღებული შედეგების პრეზენტაცია ჩატარდა არხის ხელმძღვანელობას და გადაცემის შემოქმედებით ჯგუფს.
- ევროპის მაუწყებელთა (EBU) კავშირის წევრობა გვაძლავს ყველა საერთაშორისო პროექტის ჩვენების შემდეგ გავაგზავნოთ სარეიტინგო

მონაცემები, 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის (9.02.2018-25.02.2018) მიმდინარეობის მანძილზე, ყოველდღიურ რეჟიმში იგზავნებოდა ანგარიშები, რომელიც მომზადდა EBU-ს მოთხოვნის შესაბამისად (საშუალო რეიტინგი, ბაზრის წილი, ერთწუთიანი და თხუთმეტწუთიანი მოცვა. აუდიტორია ასაკობრივ და დემოგრაფიულ ჭრილში). ოლიმპიადის დასრულების შემდეგ მომზადდა მთელი ივენთის მონაცემების ანგარიში - ცალკეული დისციპლინების მონაცემები წუთობრივი რეიტინგი დემოგრაფიულ ჭრილში.


- რადიოს ბადის შედგენა და პრეზენტაცია.
- ახალი ეთერისთვის რადიოგადაცემების შერჩევა, პილოტების ტესტირება (პროცესშია).
- პროგრამირებისა და დაგეგმარების სამსახურის დავალებით, ფინანსური სამსახურისთვის წარსადგენად მომზადდა ანგარიში - 2017 წელს ეთერში გასული გადაცემების (ორიგინალური, გამეორება) ქრონომეტრაჟი.
- 2018 წლის პირველ კვარტალში, პირველი არხის ეთერს შეემატა ახალი გადაცემები, რამაც წინა კვარტალთან შედარებით რეიტინგის მატება გამოიწვია, როგორც პრაიმტაიმში, ისე ოფპრაიმში:




მომატებული არხის საშუალო რეიტინგი



2017 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით გაზრდილია პირველი არხის ბაზრის წილიც





სარეკლამო შემოსავალი

სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ პირველი კვარტლის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები. სასპონსორო, სარეკლამო შეთავაზებები შემდეგ ტრანსლაციებში: „ზამთრის ოლიმპიადა 2018“, „კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები“, „უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩები“, „ფეხბურთში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატი“.

მომსახურეობა გაეწიათ სოციალურ და კომერციულ რეკლამებს.

პირველ კვარტალში სატელევიზიო კომერციულმა რეკლამის საბარტერო მომსახურეობის ღირებულებამ შეადგინა 48 153 ლარი და 75 თეთრი. სატელევიზიო კომერციულმა რეკლამის ღირებულებამ - 104 118 ლარი და 57 თეთრი და 48 410 აშშ დოლარი და 67 ცენტი, დღგ-ს ჩათვლით.

იანვარი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
ჯამი:		

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო		946.80
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი		1 071.57
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი		22.83
ჯამი:		2018.37

თებერვალი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		5 951.55
შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“		1 720.48
სს „ბაგრატიონი-1882“		29 000.00
ჯამი:		36 672.03

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „შანსი მენჯა თრეიდ კომპანი“	6 750.00	
შპს „ბესტჰაუსი“	6 750.00	
შპს პრომედია	9 000.00	
შპს „ბესტჰაუსი“	2 736.00	
სს „საქართველოს ბანკი“		42 437.50
სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახ. სახ უნივერსიტეტი		1 429.20
სს „სილქნეტი“		32 109.37
შპს „ბესტჰაუსი“		13 200.00
ჯამი:	25 236.00	89 176.07

მარტი 2018

ბარტერი		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „სადისტრიბუციო კომპანია“		4 761.24
შპს „რადიო ჰოლდინგი ფორტუნა“		1 720.48
სს „ბაგრატიონი-1882“		5 000.00
ჯამი:		11 481.72

ტელე განთავსება		
დამკვეთი	თანხა აშშ დოლარში	თანხა ლარში
შპს „შანსი მენჯა თრეიდ კომპანი“	6 750.00	
შპს „ბესტჰაუსი“	6 750.00	
შპს პრომედია	5 666.67	
შპს „ბესტჰაუსი“	4 008.00	
აიიპ საზოგ. კომუნიკაციის განვით. სააგენტო		5 590.80
შპს „ბესტჰაუსი“		7 333.33
ჯამი:	23 174.67	12 924.13

მივლინებები

სამი თვის განმავლობაში (იანვარი, თებერვალი, მარტი) მომზადდა 226 განაცხადი. მათ შორის, 322 - სასტუმრო, 49- ავიაბილეთი და 2 მატარებელი.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მედიამხარდაჭერით გაიმართა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალაქეების მიერ გამოგზავნილი წერილების დამუშავება და უკუკავშირის განხორციელება, მათთან საპასუხო კომუნიკაციის, შეხვედრისა და გაშუქების გზით.

საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, მიმდინარე ღონისძიებების პარტნიორულ თუ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური

მზა პროდუქციის შერჩევისა და გახმოვანების სამსახურის მიერ, მუდმივად მიმდინარეობს სატელევიზიო ბადისთვის ახალი პროდუქციის მოძიება და შესყიდვა. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კომპანია **“Globo Comunicacao E Participacoes S.A.”**-სგან შევისყიდეთ ახალი ბრაზილიური სერიალი „**ამომავალი მზე**“, რომელიც განკუთვნილია დღის ეთერის შესავსებად. ასევე, კომპანია **“Boomerang TV”**-სგან დავამატეთ სერიალის „**ძველი ხიდის საიდუმლოს**“ ახალი სეზონები. მიმდინარეობს სხვადასხვა კომპანიებთან მოლაპარაკებები შემდგომი თანამშრომლობის მიზნით. ეს ეხება მხატვრული ფილმების, სერიალების, ანიმაციის და დოკუმენტური ფილმების შესყიდვას და ასევე, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ტრანსლაციის უფლებების მოპოვებას.

ზემოხსენებულ პერიოდში განხორციელდა უკვე არსებული კონტრაქტების მიხედვით ფინანსური ვალდებულებების შესრულება (თანხების გადარიცხვა) და შესყიდული მასალის მიღება-გახმოვანება.

კომპანია **“DNI Licensing Limited”**-თან 2016 წელს ჩვენს მიერ გაფორმებული კონტრაქტის ფარგლებში, თებერვლის თვეში ჩატარდა 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადის სამხრეთ კორეაში, რომლის პირდაპირი სატელევიზიო ტრანსლაცია მიმდინარეობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ორივე არხზე.

კომპანია **“ European Judo Union LTD”**-სგან მარტის თვეში შევისყიდეთ ევროპის ჩემპიონატის ჩვენების უფლება ბიუდოში. ღონისძიება ტარდება 2018 წლის 26-28 აპრილს თელ-ავივში.

გახმოვანების ჯგუფმა 2018 წლის პირველ კვარტალში გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები და მხატვრული სერიალები.

უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, თარგმნა-გახმოვანება-სუბტიტრების ჯგუფმა გააკეთა **353.63** საათი.

იანვარში გახმოვანდა **113.67** საათი (სერიალი - 49.37სთ, მხ/ფილმი - 38.42სთ, დოკუმენტური - 25.88 სთ), თებერვალში **114.27** სთ (სერიალი - 72.12სთ, მხ/ფილმი - 24.08სთ, დოკუმენტური - 18.07სთ), მარტში - **125.69** საათი (სერიალი - 93.92სთ, მხ/ფილმი - 7.45სთ, დოკუმენტური - 24.32სთ) .

პროდუქციის დიდი ნაწილი გახმოვანებულია ორ ხმაში, მაგრამ მხატვრული ფილმების და სერიალების გარკვეული ნაწილი გახმოვანდა სამ და ოთხ ხმაშიც კი.

სამწუხაროდ, კვლავ გვაქვს ტექნიკური სახის სერიოზული პრობლემები, დაკავშირებული სერვერთან, კომპიუტერებთან.

რადიო

ტექნიკური გადაიარაღება

საანგარიშო პერიოდში, საზოგადოებრივი რადიოს ისტორიაში უპრეცედენტო მასშტაბის პროექტი განხორციელდა. მხოლოდ ტექნიკური გადაიარაღებაზე გამოიყო 84 ათას ლარზე მეტი.

საზოგადოებრივმა რადიომ მიიღო სასტუდიო მიკროფონები, მიკროფონების პროცესორები, აუდიო მიქშერები, პროფესიონალური ხმის ჩამწერები, საეთერო, სტუდიური და გარე ჩაწერის კომპიუტერები, ეთერის ავტომატიზაციის სისტემები.

ტექნიკური გადაიარაღების პროექტის ფარგლებში, განახლდა და აღიჭურვა **რადიო პირველი არხის** პირდაპირი ეთერის სტუდია. პროექტი ახალი ამოცანების აუცილებლობით იყო გამოწვეული. განახლების მთავარ მიზანს ახალი ფუნქციური შესაძლებლობები წარმოადგენდა.

შეიქმნა 5 ფუნქციური სივრცე (2 თოქ-შოუს, 2 მუსიკალური და ახალი ამბების) და რადიო სტუდია გახდა მულტიმედიური.

ახალი პროგრამული ბადე და გადაცემები

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საეთერო ბადის ახალ პრინციპებზე მუშაობა დაასრულა. სოციოლოგიური კვლევების ანალიზმა აუდიტორიის სხვადასხვა სეგმენტის ქცევისა და მოთხოვნების უკეთესი სურათი მოგვცა. ასევე გათვალისწინებულია მაუწყებლის ახალი მიდგომები და მსოფლიოში არსებული ტრენდები. გადაწყდა მეტი რესურსი დაიხარჯოს დილისა და საღამოს პიკის საათებზე (ე.წ. Drive Time). ასევე, გათვალისწინებულია ე.წ. „მძლოლი რადიოსმენელების“ მოთხოვნები.

ინტეგრირებული ნიუსრუმის სახელმძღვანელო რადიოს და ინტერნეტს სასწრაფო ახალი ამბების (ე.წ. ინფორმაციის გადაუდებელი, პირველი, ტალღა) გავრცელების ფუნქციას აკისრებს. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა აუდიტორიისთვის რადიოს ახალი ამბების ყოველ ნახევარ საათში მიწოდება.

ეთერის დინამიურობის გასაზრდელად იცვლება გადაცემების დრო, ქრონომეტრაჟი და სტრუქტურა. ცვლილებები განხორციელდება ეტაპობრივად.

საანგარიშო პერიოდში მომზადდა კიდევ ერთი გადაცემა „საუკეთესო წიგნები“. მისი ქრონომეტრაჟია 25 წუთი. ყოველკვირეული გადაცემის მიზანია წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაცია. ამ გადაცემასაც მსმენელი შემდეგ საანგარიშო კვირაში მოისმენს.

პრობლემები

ტექნიკური გადაიარაღებისა და მაუწყებლობის გაუმჯობესების პროექტის განხორციელების პროცესში საზოგადოებრივი მაუწყებელი წააწყდა პრობლემას, რომელიც კანონმდებლობასთან იყო დაკავშირებული.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონის მიხედვით საზოგადოებრივ მაუწყებელს გადაეცა მანამდე არსებული სიხშირეები. კომერციული მაუწყებლებისაგან განსხვავებით საზოგადოებრივი რადიოსთვის სიხშირეების მოდიფიცირება, ან ახალი სიხშირეების გაცემის მექანიზმები კანონში გაწერილი არ იყო. ამის საფუძველზე მარეგულირებელმა უარს ამბობდა სიხშირეების მოდიფიცირებასა და ახალი სიხშირეების გაცემაზე.

დღეისათვის საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მინიჭებული რადიო მაუწყებლობის სიხშირეები არ არის საკმარისი სრულფასოვანი მაუწყებლობისათვის. ამავ დროს კანონი გვაძალადებულებს, რომ მაუწყებელმა უნდა მოიცვას აუდიტორიის 90%-ზე მეტი.

საანგარიშო პერიოდში „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებების შემდეგ ზემოხსენებული იურიდიული ბარიერები მოიხსნა. შემდეგ საანგარიშო პერიოდში მაუწყებელი მარეგულირებელთან ერთად იწყებს მუშაობას სიხშირეების მოპოვებასა და მოდიფიცირებაზე.

სამომავლო გეგმები

შემდეგ საანგარიშო პერიოდში რადიო პირველი არხი პირდაპირი ეთერის განახლებული სტუდიიდან დაიწყებს მაუწყებლობას.

გაიზრდება ახალი ამბების ინტენსივობა და საინფორმაციო გამოშვება ყოველ ნახევარ საათში გავა ეთერში. ცვლილებები შევა პროგრამა „ პიკის საათი“-ის ფორმატში, შეიცვლება მისი სტრუქტურა. პროგრამა გამდიდრდება ახალი რუბრიკებით.

შემდეგ საანგარიშო პერიოდში ეთერში გავა ახალი ყოველდღიური პროგრამა „სახლისკენ“, რომლის ძირითად მიზნობრივ აუდიტორიას წარმოადგენს სამსახურიდან სახლისკენ მიმავალი რადიომსმენელი.

ეთერში გავა საგანმანათლებლო პროგრამა „საუკეთესო წიგნები“. ყოველკვირეული გადაცემის მიზანია წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაცია. ამ გადაცემასაც მსმენელი შემდეგ საანგარიშო კვირაში მოისმენს.

გაგრძელდება მუშაობა რადიომაუწყებლობის გაუმჯობესებაზე - იგულისხმება როგორც ახალი გადაცემების და RDS სისტემების დაყენება, ასევე სიხშირეების

მოდულირება. ამ პროცესის დაწყება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა.

ონლაინ მედია

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფი აგრძელებს ვებპლატფორმაზე -1tv.ge მუშაობას. შევიდნენოვან საინფორმაციო პლატფორმაზე კვლავ გრძელდება როგორც მაუწყებლის ტელე და რადიოგადაცემების ატვირთვა, ასევე დამოუკიდებელი ვებპროექტების.

ვებპორტალი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მომხმარებელს სთავაზობს ახალი ამბების მობილურ აპლიკაციას Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის. აპლიკაციის ძირითად ფუნქციურ და პროგრამულ მხარეზე მუშაობა დასრულებულია.

ამჟამად მიმდინარეობს პროექტზე „მრავალფეროვანი საქართველო“ მუშაობა. „მრავალფეროვანი საქართველო“ არის პირველი არხის პროექტი, რომლის მიზანია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინფორმირებულობა, მოქალაქეობრივი ცნობიერების ამაღლება, მრავალფეროვან კულტურათა დიალოგის და ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა. „მრავალფეროვანი საქართველოს“ ფარგლებში, დაგეგმილია ვებ პორტალზე 1tv.ge 12-საათიანი უწყვეტი პირდაპირი ეთერით მაუწყებლობა.

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიურად ზრდადია ყველა პლატფორმაზე:

მატება (წინა კვარტალთან შედარებით):

18,78 % - ვიზიტი საიტზე;

15,52 % - უნიკალური მომხმარებელი.

საიტის სტატისტიკა

I კვარტალი 2018	IV კვარტალი 2017
ვიზიტი საიტზე - 4,809,898	ვიზიტი საიტზე - 4,712,631
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში)- 3,889,198	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - 3,678,477
საშუალოდ დღეში ვიზიტი: 53,443	საშუალოდ დღეში ვიზიტი - 51,225
მაქსიმალური მაჩვენებელი - 136,163 (16 მარტი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 101,476 (4 ოქტომბერი, 2017)

მატება (წინა კვარტალთან შედარებით):


3,00% - ნახვა

იუთუბის სტატისტიკა

IV კვარტალი	III კვარტალი
ნახვა - 15,049,132	ნახვა - 12,093,741
საშუალოდ დღეში ნახვა - 167,212	საშუალოდ დღეში ნახვა - 131,453
მაქსიმალური მაჩვენებელი - 800,571 (16 მარტი, 2018)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 387,907 (5 დეკემბერი, 2017)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით, პირველი არხი ერთ-ერთი ლიდერია ქართულ მედიაში.

ვიზიტები YouTube-არხებზე



სპეციალურად პირველი არხის ფეისბუქპლატფორმისთვის მზადდება თემატურად მრავალფეროვანი კონტენტი:

- 2-3 წუთიანი "ფიჩერები", რომლის მიზანი აუდიტორიაში საინტერესო პერსონის წარდგენაა;
- რუბრიკა "მასტერკლასი", რომლის მიზანია, აუდიტორიისთვის საყვარელ ვებ-პროდუქტად იქცეს.

საინფორმაციო ტიპის ვიდეოების ნახვა 4-დან 20 ათასამდე მერყეობს, თემის აქტუალურობის მიხედვით.

ფეისბუქ გვერდების ზოგადი სტატისტიკა 12/2015-03/2018


გვერდი	12 2015	05 2016	09 2016	10 2016	12 2016	01 2017	03 2017	12 2017	03 2018	Growth Last Year	Growth From 12 2015
1 პირველი არხი	115,000	135,000	143,000	149,000	155,000	159,000	162,000	184,500	205,500	43,500	90,500
2 წიგნებისთარო	3,500	20,900	24,500	26,000	28,400	32,500	38,000	56,700	65,000	27,000	63,500
3 გააგრ. საქ. ისტ	15,500						30,200	62,000	62,000	↓	46,500
4 გურმანია	11,200	18,300	26,200	27,000	28,500	30,500	32,300	40,200	43,700	11,400	32,500
5 მიუქსიკლას	-	-	-	-	-	-	-	33,300	35,000	35,000	35,000
6 კომ/სტუდია	20,000	26,500	28,400	29,000	30,000	31,700	33,200	35,000	35,000	↓	15,000
7 Eurovision	23,200	25,000	25,000	25,000	27,000	30,400	31,100	34,000	34,200	3,200	11,000
8 სპორტი	3,000	8,800	15,400	15,700	17,300	18,300	19,000	31,000	33,000	14,000	30,000
9 რეალური	10,000	19,100	21,000	21,400	23,200	23,600	27,000	30,700	31,600	4,600	21,600
10 პირადი ექიმი	2,000	-	12,400	12,700	13,600	14,000	15,000	20,800	26,000	12,000	24,000
11 ადამიანი კამ.	-	17,500	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	-	17,600
12 მთაბე	-	-	-	-	5,000	6,500	10,000	16,000	16,600	6,600	16,600
13 ფერმა	3,000	6,700	9,000	9,200	10,000	10,200	11,000	12,900	14,200	3,200	11,200
14 ყველა კახე	7,200	9,400	10,000	10,000	10,000	10,000	10,000	12,400	12,400	2,400	5,200
15 სიტ. თამში	8,200	10,500	11,000	11,000	11,200	11,300	11,400	11,800	11,800	-	3,600
16 ეიპაეი	-	4,600	9,000	9,000	9,600	9,600	9,800	9,900	9,900	↓	9,900
17 პროექტები									8,700	8,700	8,700
18 მარტივი ლოგ	-	-	-	-	-	-	-	-	8,600	8,600	8,600
19 სპორტი360°	-	-	-	-	500	2,000	5,100	7,100	7,100	2,000	7,100

ტოპ10 პოსტი საიტზე











I კვარტალ

Page Title ?	Page Views ?	Unique Page Views ?
	4,809,898 % of Total: 100.00% (4,809,898)	3,889,198 % of Total: 100.00% (3,889,198)
1. ახალი ამბები - 1TV	581,889 (12.10%)	231,414 (5.95%)
2. Live - 1TV	95,667 (1.99%)	61,400 (1.58%)
3. You searched for - 1TV	48,006 (1.00%)	17,770 (0.46%)
4. Новости - 1TV	40,830 (0.85%)	12,647 (0.33%)
5. Health condition of two tourists in Gudauri is grave - 1TV	34,822 (0.72%)	33,407 (0.86%)
6. სპორტი - 1TV	29,218 (0.61%)	16,892 (0.43%)
7. თბილისში რამდენიმე ცნობილ რესტორანს დარღვევების გამო საწარმოო პროცესი შეუზღუდა - 1TV	28,987 (0.60%)	27,413 (0.70%)
8. მოამბე - 1TV	24,112 (0.50%)	10,478 (0.27%)
9. ცხრა წლის დავით ზოზაძეს ზოოპარკი დაათვალიერებინეს [ფოტომამბე] - 1TV	19,818 (0.41%)	18,852 (0.48%)
10. პირველი არხი - 1TV	19,717 (0.41%)	14,651 (0.38%)

მომხმარებლის დემოგრაფია და ინტერესები




ვიზიტების გეოგრაფია

Country ?	Acquisition	
	Users ? ↓	New Users ?
	1,062,199 % of Total: 100.00% (1,062,199)	861,540 % of Total: 100.12% (860,504)
1.  Georgia	806,676 (74.97%)	632,700 (73.44%)
2.  United States	51,544 (4.79%)	46,121 (5.35%)
3.  Russia	27,185 (2.53%)	23,243 (2.70%)
4.  France	22,341 (2.08%)	20,654 (2.40%)
5.  Italy	17,681 (1.64%)	13,634 (1.58%)
6.  Germany	17,610 (1.64%)	13,252 (1.54%)
7.  Greece	13,381 (1.24%)	9,700 (1.13%)
8.  Peru	13,050 (1.21%)	12,990 (1.51%)
9.  Turkey	12,812 (1.19%)	9,996 (1.16%)
10.  Ukraine	12,174 (1.13%)	11,038 (1.28%)

მონაცემები და წვდომის წყაროები

<input type="checkbox"/>	Device Category ?	Acquisition	
		Users ? ↓	New Users ?
<input type="checkbox"/>		1,062,199 % of Total: 100.00% (1,062,199)	861,540 % of Total: 100.12% (860,504)
<input type="checkbox"/>	1. mobile	699,202 (65.43%)	577,272 (67.00%)
<input type="checkbox"/>	2. desktop	344,644 (32.25%)	264,400 (30.69%)
<input type="checkbox"/>	3. tablet	24,734 (2.31%)	19,868 (2.31%)



სამომავლო გეგმები

დაწყებულია:

- დოკუმენტური ფილმის „ვიკინგები“ პრეზენტაციაზე მუშაობა.
- სომხურ და აზერბაიჯანულენოვანი ინტერნეტ-რადიო პროექტის პრეზენტაცია, პრე და მომდევნო პრომოუშენის სტრატეგიის შემუშავება.
- დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კამპანიის დაგეგმვა, პრე პრომოუშენი და 26 მაისის ღონისძიების გეგმის ჩამოყალიბება.
- რადიო გადაცემების პრომოუშენი
- მსოფლიო რბენა 2018 (World Run) ისთვის მზადება.
- სრულდება პრომოუშენის წარმოების და დაგეგმვის გრაფიკი
- შემუშავების პროცესშია ორგანიზაციის, როგორც ბრენდის სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც პრაქტიკული მაგალითებით იქნება აღწერილი პირველი არხის სავალდებულო პოზიციონირება
- მიმდინარეობს პროდუქტის საკომუნიკაციო სტრატეგიის საკოორდინაციო “გეგმა-დოკუმენტის” შემუშავება. აღნიშნული შაბლონები ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის კოორდინირებას და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს.
- დაწყებულია 2018 წლის სპორტული ტრანსლაციების გაყიდვები.
- ახალი სეზონისთვის საბავშვო ტელეპროდუქციის (საბავშვო და ახალგაზრდული სერიאלები, მულტფილმები) შერჩევა და ტესტირება.


დაგეგმილია:

- მსოფლიო ჩემპიონატის ფეხბურთში საპრომოუშენო და სარეკლამო კამპანია.

მედია წარმოების ბლოკი

1. ზოგადი სტატისტიკური მონაცემები:

2018 წლის I კვარტლის მოცემულობით მედია წარმოების ბლოკი აწარმოებს:



2. მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები

2018 წლის 5 მარტს პირველი არხის ეთერში გავიდა ორიგინალური ქართული საბავშვო მუსიკალური კონკურსის „რანინა“ პირველი სეზონი. მისი უნიკალურობიდან, ფორმატიდან და იდეოლოგიიდან გამომდინარე, მაყურებლისთვის და მუსიკალური სფეროს წარმომადგენლებისთვის „რანინა“ იქცა ერთადერთ მუსიკალურ ტელეკონკურსად, რომელიც ზუსტად პასუხობს ქართული მუსიკალური კულტურისა და მომავალი თაობის დაკავშირების, განვითარების აუცილებელ იდეას. მით უფრო მაშინ, როდესაც პროექტის ფორმატიდან გამომდინარე, „რანინას“ გამარჯვებული ავტომატურად ხდება საქართველოს წარმომადგენელი 2018 წლის საბავშვო ევროვიზიაზე.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ბლოკმა განახორციელა ამერიკული კომპანია Metro Goldwyn Mayer-ის პროექტი "ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?". ამ პერიოდში სტუმრების მიერ მოგებულმა თანხამ შეადგინა 29 000 ლარი. მოგებული თანხით შეძენილი საჩუქრები, შემოქმედებითი ჯგუფის წევრების გარდა, სკოლებში სტუმრებსაც ჩააქვთ. ცნობილ ადამიანთან შეხვედრა კი ამ სკოლის ბავშვებისთვის დიდ მოლოდინსა და სიხარულთანაა დაკავშირებული. პროექტის შემქმნელების ერთ-ერთი მიზანი გამორჩეული ნიჭის, უნარების და, რაც მთავარია, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვების აღმოჩენაა. პროექტის მონაწილე ბავშვები დღეს უკვე საკმაოდ პოპულარულები და, რაც მთავარია, სამაგალითონი არიან თანატოლებში, რაც უმნიშვნელოვანესია სწავლის მოტივირების და პროპაგანდის

მიმართულებით.

ამავე კვარტალში მაუწყებლობა დაიწყო გადაცემა **„მარტივი ლოგიკა“**, რომელიც გახლავთ კომპანია „ენდემოლის“ ფრანჩიზა. არსებულ საანგარიშო პერიოდში გადაცემაში მონაწილეობა მიიღო 82 ადამიანმა და მათგან გამარჯვებული გახდა 46 ადამიანი. გათამაშებული თანხის ჯამმა შეადგინა 26 085 ლარი. გადაცემის პარალელურად შეიქმნა „მარტივი ლოგიკის“ მობილური აპლიკაცია, რომელიც 2018 წლის მეორე კვარტალში ხელმისაწვდომი იქნება მომხმარებლებისთვის android და IOS პლატფორმებზე. აღნიშნული აპლიკაცია მნიშვნელოვან პრომოუშენს გაუწევს როგორც თავად გადაცემას, ასევე მთლიანად არხს. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პირველმა შექმნა სოციალური მედიის მიმართულებით მსგავსი პროდუქტი!

გადაცემას **„წიგნების თარო“** მე-4 სეზონზე შეეცვალა გადაცემის ფორმატი და გაეზარდა ქრონომეტრაჟი. გადაცემა აღარ იფარგლება მხოლოდ ლიტერატურით და მას ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის რაუნდებიც დაემატა. სიახლეს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ **„წიგნების თაროს“** ახალი სატელევიზიო სეზონის ბოლოს კემბრიჯში 3-ის ნაცვლად 4 მოსწავლე გაემგზავრება (მე-4 მოსწავლეს თავად ხალხი აირჩევს).

„წიგნების თაროს“ ორგანიზებით ჩატარდა სოციალური კამპანია „ მოსწავლეების არჩევანი“, რომლის დახმარებითაც გამოვლინდა მოსწავლეების საყვარელი 21-ე საუკუნის ქართული წიგნი - „ხალხის რჩეული“. ჩატარდა ლექციების ციკლი „წიგნებსა და ადამიანებზე“, რომლის ფარგლებშიც გადაცემის შემოქმედებითი გუნდი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებს ესტუმრა და წაიკითხა ლექციები მნიშვნელოვან და აქტუალურ თემებზე. გადაცემის პარალელურად მიმდინარეობს ლიტერატურული კონკურსი - გამარჯვებული მოსწავლეები გადაცემის ბონუს თამაშში მიიღებენ მონაწილეობას.

გადაცემა **„გურმანია“** არსებულ საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ეთნიკური უმცირესობების სხვადასხვა ფორმით გადაცემაში ჩართვას, ამჟამად გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი იღებს მოგზაურობის სეგმენტს ახალქალაქში, სადაც მთავარი გმირები სწორედ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები იქნებიან. აღსანიშნავია ასევე ტურისტების ჩართულობა გადაცემაში - სხვადასხვა სეგმენტი დაეთმო ქართული კერძების პოპულარიზაციას, მაგალითად მე-7 სეზონის პირველი „კულინარიული ამბავი“ გუდაურში მოხდა, სადაც ჩურჩხელა და ქართული ტრადიციული ხარჩო სწრაფ საკვებად ვაქციეთ და უცხოელ ტურისტებს გაუუმასპინძლდით. აღსანიშნავია, რომ 12 მაისს ღვინის ფესტივალზე განთავსდება „გურმანიის“ სტენდი. გარდა ამისა, გადაცემის მე-4 ბლოკის - კულინარიული ამბის ფარგლებში, მომზადდა ვრცელი ინტერვიუ მიშლენის სამი

ვარსკვლავის მფლობელი ფრანგი შემზარეულის - გი სავუას მოსწავლეებთან - პარიზის ცნობილ შფებთან - ჟილ შენოსა და სტეფან ლარუელთან.

ახალი საანგარიშო პერიოდიდან **"ხანმოკლე xx საუკუნის"** ფორმატი შეიცვალა, შემცირდა ქრონომეტრაჟი, აგრეთვე შეიცვალა ვიზუალური გაფორმება და გადაცემამ ვებ-პროექტისთვის საჭირო ფორმა მიიღო. გადაცემა დაიყო ქვესათაურებად და რამდენიმე დამოუკიდებელ ამბად, რომელთაც გასული საუკუნის რომელიმე კონკრეტული თარიღი (ქრონოლოგიური თანმიმდევრობით) აერთიანებთ.

მომზადდა და ვებ პლატფორმაზე განთავსდა მათემატიკის ინტერნეტ გაკვეთილების კურსი **„ცვანციკას ონლაინ გაკვეთილები - მათემატიკა აბიტურიენტებისთვის“**. პროექტის ფარგლებში ჩაიწერა 130 ვიდეო გაკვეთილი, რომლის მიზანია მოსწავლეებს მათემატიკის სასკოლო გამოცდისა და ეროვნული გამოცდების უნარების მათემატიკური ნაწილის საკითხების დამღევაში დაეხმაროს. პროექტს აქვს აქტიური ფეისბუქ გვერდი სადაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია, კონკრეტულ გაკვეთილთან დაკავშირებით მიიღოს პასუხი.

2018 წლის პირველი კვარტლის მნიშვნელოვან მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს **„ფერმის“** აღმოჩენა- ქუთაისელი სკოლის მოსწავლე, რომელმაც შექმნა მცირე, ინოვაციური მეურნეობა და ბაზუასთან ერთად აწარმოებს სასარგებლო პროდუქტს. იგი მისაბადი მაგალითი გახდა აგროსფეროთი მისი თანატოლების დაინტერესებისათვის, რასაც მოწმობდა რადიოგადაცემა „სოფლის დილაში“ მსმენელთა ზარები და გამოხმაურება. მნიშვნელოვანი სიახლე იყო ის ფაქტიც, რომ გადაცემაში ჩირის მწარმოებელ მრავალშვილიან დედებზე მომზადებული სიუჟეტის ეთერში გასვლამ ხელი შეუწყო დები ჯიქიებისთვის სარეალიზაციო ბაზრის ხელმისაწვდომობას, კერძოდ, მათი პროდუქტი განთავსდა ერთ-ერთ დიდ სავაჭრო ობიექტზე.

პროექტის **„პირადი ექიმი“** ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა სოციალური კამპანია - შეიქმნა **"პირადი ექიმის გუნდი"**, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გადაცემის პრომოციისთვის. გადაცემამ შემოიკრიბა მოსწავლეები (პირველი გიმნაზია, ევროპული სკოლა, ქართული და უცხოენოვანი კონტინგენტი) და სტუდენტები (დ.ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტი), რომელთათვისაც გადაცემის ავტორმა და წამყვანმა მარი მალაზონიამ ჩაატარა საჯარო ლექციები.

შედგა ფილმ **„ვიკინგების უკანასკნელის ლაშქრობის“** პრემიერა და ფილმ **„მისი უდიდებულესობის კომისარი - სტოქსის“** წარმოებაში ჩაშვება

4. ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ აღსანიშნავი (მიღწევებიც და ჩავარდნებიც).

- დასრულდა სერიალის „ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე“ წარმოება. პროექტი მედია წარმოების ბლოკიდან გადავიდა მედია კომუნიკაციის ბლოკში საეთერო ბადეში განსათავსებლად.
- დასრულდა ტელესპექტაკლი 'უკომენტაროდ'.
- დასრულდა აკა მორჩილამის საავტორო დოკუმენტური ფილმი "იონას საქართველო".
- რადიოს გადაფორმატების პროექტის ფარგლებში განახლდა რადიო პირველი არხის სალამოს ზოლი. ეთერში ჩაეშვა ახალი რადიოპროექტები.
- რადიო ეთერში ჩაეშვა რადიო პროექტი „სახლისკენ“
- რადიო ეთერში ჩაეშვა რადიო პროექტი „მუსიკის გაკვეთილები“.
- ვებპორტფელის ფარგლებში სამივე ტალღაზე სულ შემოვიდა 37 პროექტი, საიდანაც განხილვების შედეგად წარმოებაში ჩაეშვა 2 პროექტი- ფილმები „უმგული - ჩემი სამოთხე“ და „ჯამბაზები“

2. დინამიკა: მიმდინარე კვარტალში - ეტაპები/ქმედებები/ვადები

პროექტი	პლატფორმა	სტატუსი	ვადა
აკუსტიკა	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
წიგნების თარო	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ხარ თუ არა მეხუთე კლასელზე ჭკვიანი?!	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
გურმანია	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მარტივი ლოგიკა	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რანინა პატარების	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რანინა დიდების	ტელე პროექტი	წინა საწარმოო ფაზა	Oct-18
რეალური სივრცე	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
პირადი ექიმი - მარი მალაზონია	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ფერმა	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ილუზიონი	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On

			Air
ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ხანმოკლე მეოცე საუკუნე	ტელე პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მათემატიკის გაკვეთილები	ვებ პროექტი	მაუწყებლობა	On Air
იონას საქართველო	დოკუმენტური სერიალი	წარმოების შემდგომი ფაზა	Sep- 18
სტოქსი	დოკუმენტური სერიალი	წარმოების ფაზა	Jan- 19
თბილისის გზაზე	დოკუმენტური სერიალი	წარმოების ფაზა	Mar -19
წერილები მეგობრებს	დოკუმენტური ფილმი	დასრულებულ ი	Jan- 18
ჯამბაზები	დოკუმენტური ფილმი	წარმოების ფაზა	Dec- 18
უშგული- ჩემი სამოთხე	დოკუმენტური ფილმი	წარმოების ფაზა	Dec- 18
თემურ ჩხეიძის შესახებ	დოკუმენტური ფილმი	წარმოების ფაზა	2018
გივი მარგველაშვილის შესახებ	დოკუმენტური ფილმი	წარმოების ფაზა	2018
ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე	მხატვრული სერიალი	დასრულებულ ი	2018
უკომენტაროდ	ტელე სპექტაკლი	წარმოების შემდგომი ფაზა	2018
სახლისკენ	რადიო პროექტი	წარმოების შემდგომი ფაზა	Apr- 18
მუსიკის გაკვეთილები	რადიო პროექტი	წარმოების შემდგომი ფაზა	Apr- 18
საუკეთესო წიგნები	რადიო პროექტი	წარმოების შემდგომი ფაზა	Apr- 18
თავისუფალი ლიტერატურა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კულტურული მემკვიდრეობა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ცხოვრება ხელოვნებაში	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
აკადემიური სივრცე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On

			Air
მუსიკა რადიო ერთზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
პუბლიცისტური მემკვიდრეობა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რადიობლოგერი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
სიტყვა ქართული	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
სოფლის დილა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
სტილი და იდეა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ფოლკლორი რადიო ერთზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ჩვენი საგანძური	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ჩვენი ქალაქის პატარა ამბები	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კონსულტაცია რადიო 1 ზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
განსხვავებული აზრი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
მიგრაციის მარშუტები	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
პიკის საათი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
შაბათ კვირა რადიო ერთზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ხაზის რადიო	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
გალერეა რადიო	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რადიოთეატრი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კულტურული მემკვიდრეობა ქართლის ცხოვრება (რადიო)	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
იყო და არა იყო რა	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
დო რე მი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
იგს ბოქსი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კოლექცია	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air

მუსიკა ღამით	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რა სურთ ქალებს	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
უცნობი მუსიკა რადიო	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
ორიენტირები	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
კინოფილმი უკრანოდ	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
რადიოსერიალი	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air
თეატრი რადიო 1 ზე	რადიო პროექტი	მაუწყებლობა	On Air

6. სერიოზული პრობლემები და მათ დასაძლევად გადადგმული ნაბიჯები, მოგვარების გზები.

NON

7. მომავალი კვარტლის გეგმები (მომავალი კვარტლის სიახლეები; უკვე დაწყებული განვითარება, სხვა).

- მოთხოვნიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, „რანინა“ გაცდეს საბავშვო ჟანრს და დაიწყოს მუშაობა დიდების მუსიკალურ პროექტზე, რომლის გამარჯვებულზე ასევე გაემგზავრება ევროვიზიის კონკურსზე.
- პირველი აპრილიდან პროექტი „რეალური სივრცე“ - სოციალურ ქსელებში გავიდა. ეს გახლავთ სპეციალურად ვებ-საიტის მომზადებული 15 წუთიანი გადაცემა სრულიად განსხვავებულ სოციალურად მნიშვნელოვან თემებზე. გადაცემის წამყვანია ჟურნალისტი სოსო კაციტაძე
- 21 მაისიდან გადაცემა მარტივი ლოგიკა ეთერში კვირაში სამჯერ იქნება. მობილური აპლიკაციისთვის მზადდება ტურნირი, სადაც დარეგისტრირებულ მომხმარებლებს შანსი ექნებათ ჩაერთონ 5000 ლარის გათამაშებაში.
- პროექტი, რომელიც გასულ საუკუნეს ეძღვნება, თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება და ეთერში გასასვლელად დარჩენილია 9 გადაცემა.
- დაგეგმილია პირადი ექიმის გაძლიერება მულტიმედიურ პლატფორმაზე და სამედიცინო ვებ-ჟურნალის ფორმირება
- დაგეგმილია პროექტში „ილუზიონი“ თანამედროვე ფილმების დამატება კოლექციაში და ვებ აქტივობების გაძლიერება

წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი

რადიო და ტელემაუწყებლობა, გავრცელების პლატფორმები, შესრულებული ტექნიკური სამუშაოები:

1. საზოგადოებრივი რადიომაუწყებლობის საეთერო სტუდიის განახლებასთან დაკავშირებით ჩატარდა “რადიო პირველი არხის“ სტუდიისა და ტექნიკის დემონტაჟი. განხორციელდა სამუშაო ფართის და არსებული ტექნიკის დროებითი გადაადგილება ალტერნატიულ სივრცეში. ტექნიკური ჯგუფის მიერ უზრუნველყოფილ იქნა უწყვეტი მაუწყებლობისათვის აუცილებელი კომუნიკაციების და სააპარატოს რესურსების გადანაწილება ისე, რომ სარემონტო სამუშაოების მსვლელობისას „რადიო პირველი არხის“ ფუნქციონირება სრულყოფილად ხორციელდებოდა დროებითი განთავსების სივრციდან. ასევე, ტექნიკური ჯგუფის მიერ განხორციელდა რადიოს ცენტრალური საეთერო მიქშერის, DATEQ BCS 50, დაზიანებული არხების აღდგენა და რადიოს დანარჩენი ტექნიკის მომზადება ახალ სტუდიაში სამუშაოდ.
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეპროგრამების DVB-S2 მოდულაციის სტანდარტის MPEG-4 შემჭიდროვების ფორმატით სატელიტური გავრცელების საშუალებებს 2018 წელს შეემატა “ევტელსატის“ პლატფორმაზე მაღალი გარჩევადობის ფორმატში (5მბტ/წმ ნაკადური სიჩქარე) გადაცემული „1 არხი HD“ პროგრამა. ასევე გაგრძელდა „1 არხი SD“ , სტანდარტული გარჩევადობის პროგრამის მაუწყებლობა „აზერკოსმოსის“ სატელიტური პლატფორმით (3მბტ/წმ ნაკადური სიჩქარე), რაც ნიშნავს არხის განთავსებას საქართველოში გამოყენებად ორივე მოთხოვნად სატელიტურ პლატფორმაზე ერთდროულად და, შესაბამისად, არხის წვდომის სიიოლის გაზრდას სხვადასხვა პლატფორმის მომხმარებელთათვის. 2018 წელს EBU-ს ტექნიკური მოთხოვნების მიხედვით, სატელიტური ჯგუფის თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა EBU-MNT ტერმინალის პროგრამული განახლება, EBU-FEP ფაილების გაცვლის პლატფორმის აპარატურის პროგრამული განახლება. ასევე განხორციელებულ იქნა FIFA ს ეგიდით ტრანსლირებული სპორტული პროგრამების მიღება-დეკოდირების აპარატურის სრული პროგრამული განახლება.

1. მეორე სართულზე „მოამბის“ სტუდიაში დემონტაჟი ჩაუტარდა ორ სტუდიურ ვიდეოკამერას. ჩაიღო კამერის 2-ტრიაქსიალური კაბელი „მოამბის“ სტუდიიდან მესამე სართულზე განთავსებულ ახალი „ნიუსრუმის“ სტუდიამდე და ნიუსრუმის სუპერდესკის მიმდებარე ადგილამდე. ახალი „ნიუსრუმის“ სტუდიაში დამონტაჟდა აუდიო-ვიდეო გამანაწილებელი კარადა. ახალი „ნიუსრუმის“ სივრცეში მოეწყო ორი დამოუკიდებელი ჩართვის წერტილი.
2. მე 3-ე სართულზე საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ ინჯესტის (Harris-Ingest) გადატანისთვის ჩაიღო ახალი ვიდეო კაბელები (8-SDI) „მოამბის“ სასერვეროდან (მე 2-ე სართული) „ჰარის ინჯესტის“ ოთახამდე, ამავე ოთახში აყვანილ იქნა „ფიბრ ოპტიკური“ კაბელი, რომელმაც ინჯესტის ოთახი ტელე ცენტრალურ სააპარატოს დააკავშირა. აეწყო და დამონტაჟდა ახალი აუდიო-ვიდეო და კავშირის გამანაწილებელი კარადა.
3. შეძენილ იქნა და შემდგომ დამონტაჟდა 40 ცალი 49“ (დიუმიანი დიაგონალის) ახალი ე.წ. “Smart” ტელევიზორი. იმის გამო, რომ ვერ განხორციელდა IP ბაზაზე, ახალი შიდა საკაბელო ტელევიზიის შეძენა, მესამე სართულზე ნიუსრუმის სივრცე დაკაბელდა საანტენო კაბოლებით DVB-T2 და საკაბელო ტელევიზია „მეშვიდე არხის“ პროგრამების მისაღებად.
4. ამას გარდა ძველი „ნიუსრუმში“ დემონტაჟი ჩაუტარდა 15 ცალ 42“ (დიუმიანი დიაგონალის) ტელევიზორებს, რომლებიც ახალი ნიუსრუმის სივრცეში დამონტაჟდა.
